

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N44

ქ.თბილისი

13 სექტემბერი, 2024 წელი

16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

კახაბერ ლაბუჩიძე

აკაკი ალადაშვილი

ნათია მოდებაძე

ლევან არველაძე

შალვა ოგბაძე

ვლადიმერ ბოჟაძე

ნინო რუხაძე

ოთარ გრიგოლია

რევაზ სოხაძე

ლევან დავითაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

ნინო ვარდოსანიძე

ზურაბ ჩიკვილაძე

კონსტანტინე ზარნაძე

გივი ჩხარტიშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

ავთანდილ ცინცაძე

ანა კაკაბაძე

ირაკლი ხელაძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ანა კილაძე

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯონი მაჭარაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ნინო ბაგაშვილი, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ოთარ გრიგოლიამ აკაკი ალადაშვილს, ირაკლი ხელამეს და ვლადიმერ ბოჟაძეს, რომლებიც წარმოადგენენ საბურთალოს, ნაძალადევის და გლდანის რაიონებს, მიულოცა საპარლამენტო სიაში ყოფნა, წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ მათ აქვთ გამოცდილება და ხალხის მხარდაჭერა, ეამყება, რომ ისინი წარმოადგენენ საკრებულოს და მათთან ერთად მუშაობდა წლების განმავლობაში. ოთარ გრიგოლიამ ისაუბრა ოპონენტებზე და განაცხადა, რომ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლები ხშირად გამოდიან ქალაქის კეთილდღეობასთან დაკავშირებული ინიციატივებით, თითქოს გული შესტკივთ ამ ქალაქზე და ამიტომ, სურს ყურადღება გაამახვილოს ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნის მამუკა ხაზარაძის კომპანიებს და შესაბამისად, მათ აქვთ გავლენის მოხდენის ყველანაირი შესაძლებლობა. მისი თქმით, ბოლო პერიოდში, ლისის ტერიტორია კომერციულად ძალიან სწრაფად ვითარდება, რაც, რა თქმა უნდა, კარგია იმ თვალსაზრისით, რომ იქმნება სამუშაო ადგილები, თუმცა, მეორე მხრივ, ტერიტორია ნელ-ნელა კარგავს რეკრეაციულ ფუნქციას, რადგან ის ადგილები, რომლებიც კომერციულად არ არის საინტერესო, ფაქტობრივად მიგდებულია და უკვე ათობით წლებია არანაირი ინვესტიცია არ ხორციელდება, უფრო მეტიც, ლისის რეკრეაციულ ზონაში არსებული ერთადერთი უფასო ტერიტორია, სადაც წლების წინ, მერიის მიერ, მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცე, განადგურებულია. ეს ყველაფერი მეტყველებს ამ ადამიანების დამოკიდებულებაზე საჯარო სივრცისადმი და აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან საუბარი ქალაქის და ქვეყნის განვითარებაზე არის აბსოლუტური ფარსი.

ლევან არველაძემ კოლეგებს მიულოცა თბილისის რაიონების დელეგატებად წარდგენა და აღნიშნა, რომ მისი აზრით, მათი სამომავლო საქმიანობა საქართველოს პარლამენტში იქნება ნაყოფიერი და წარმატებული. ისაუბრა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და განაცხადა, რომ „მართლაც მნიშვნელოვანი არჩევნები ელოდება ჩვენს ქვეყანას - ეს არის ერთგვარი რეფერენდუმი წარსულსა და მომავალს შორის, ქაოსსა და განვითარებას შორის. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს და ჩვენი გუნდი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, საქართველოს პარლამენტში ექნება მყარი უმრავლესობა და გააგრძელებს იმ სწორ, მშვიდობის პოლიტიკას, რომელიც დღეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას“.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა ლისის ტერიტორიაზე და აღნიშნა, რომ არათუ ოთარ გრიგოლიას მიერ ხსენებული უფასო საჯარო სივრცე მოაწესრიგონ, არამედ კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უამრავი გამხმარი ხის ჩანაცვლებასაც არ ახორციელებენ მესაკუთრეები. ამასთანავე, ეს ადამიანები თბილისის ხელისუფლებას ადანაშაულებენ ქალაქის ქოტურ განაშენიანებაში მაშინ, როდესაც თუ რამეს შეიძლება ეწოდოს ქოტური, ეს არის ლისის ტერიტორიაზე განთავსებული ჯიხურები და მართალია, ეს ტერიტორია კერძო საკუთრებაა, მაგრამ, გარკვეულწილად, საჯარო სივრცის მატარებელი სივრცეა და აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ „თავხედობაა“ რასაც ამ ტერიტორიის მესაკუთრე კომპანია აკეთებს და მუნიციპალიტეტმა უნდა მიმართოს გარკვეულ ზომებს იმისათვის, რომ კერძო მფლობელებმა მოაწესრიგონ ტერიტორია.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ სურს გამოეხმაუროს „ბულინგის კამპანიას“, რომელსაც, ოპოზიციური სპექტრი ახორციელებს ადამიანების მიმართ, რისი ნათელი მაგალითია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის ოცეულის და განსაკუთრებით სპორტსმენების მისამართით გაკეთებული განცხადებები. მისი თქმით, ამ ყველაფრის მიზეზი არის ის, რომ მათ ერთი ახალი ადამიანიც კი ვერ მიიზიდეს თავიანთ რიგებში, გადადიან ერთმანეთის პარტიებში და უკვე წლებია ვხედავთ ერთსა და იმავე სახეებს სხვადასხვა პლატფორმების თუ გაერთიანებების ქვეშ, რომლებიც 2012 წლიდან დღემდე არიან

დამარცხებულები და განაცხადა: „26 ოქტომბერს ქართველი ხალხი გააკეთებს არჩევანს და ეს არჩევანი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

ზურაბ აბაშიძემ მიულოცა კოლეგებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, წარმატებები უსურვა მათ და განაცხადა, რომ მართლაც, სასიამოვნოა და პატივია ის, რომ ჩვენი ინსტიტუციის წარმომადგენლები გადაინაცვლებენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და იქ განაგრძობენ ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობას. ისაუბრა ვერის პარკის რეაბილიტაციაზე და აღნიშნა, რომ ამ პროექტის განხორციელება იყო წინასაარჩევნო დაპირება და ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ამ უბნის მაცხოვრებლებისთვის, არამედ მთელი თბილისისთვის, რადგან ვერის პარკი არ არის რიგითი რეკრეაციული ზონა, ის არის თბილისის ტრადიციული და ძველი, ისტორიული ადგილი.

კონსტანტინე ზარნაძემ მიულოცა კოლეგებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და წარმატებები უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში. ისაუბრა ქართველი სპორტსმენების მისამართით გაკეთებულ განცხადებებზე და აღნიშნა, რომ მისთვის წარმოუდგენელია სპორტსმენების ლანძღვა-გინება და ცუდად მოხსენიება. ადამიანები, რომლებიც ჩვენს სპორტსმენებს ლანძღავენ და ამბობენ, რომ პოლიტიკა უნდა აკეთონ პოლიტიკოსებმა, აქებენ უკრაინის პრეზიდენტს, რომელიც კომედიური ჟანრის მსახიობია და როდესაც შეგიძლია არ დააფასო და „ფეხით გადაუარო“ საკუთარს იმის გამო, რომ არ მოგწონს მისი პოლიტიკური შეხედულება, ეს არის „დიანოზი“, რომელსაც, სამწუხაროდ, არაფერი ეშველება. მისი თქმით, ეს ადამიანები ამბობენ, რომ არიან ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევრები, თუმცა, არ აინტერესებთ გამოხატვის თავისუფლება და თუ არ იზიარებ მათ იდეას და აზრს, მზად არიან ნებისმიერი ხერხით განახორციელონ ზეწოლა. აქედან გამომდინარე, მარტივი წარმოსადგენია, თუ რას მოიმოქმედებენ და როგორ მოექცევიან ასეთი ადამიანები პოლიტიკურ ოპონენტებს იმ ძალაუფლებით, რომელსაც ითხოვენ. საუბრის ბოლოს, კონსტანტინე ზარნაძემ ისაუბრა 2025 წლის ბიუჯეტზე, რომელზე მუშაობაც დაიწყება უახლოეს მომავალში და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ჩვენს ქალაქზე მზრუნველი ხალხი აუცილებლად მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც საბავშვო ბაღებში მომუშავე ადამიანებს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს ყოველდღიურ ყოფას და ხელს შეუწყობს მათი ფინანსური და სოციალური მგდომარეობის გაუმჯობესებას.

ვლადიმერ ბოჟაძემ ირაკლი ხელაძეს და აკაკი ალადაშვილს მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის და დედაქალაქის მერის მიერ გამოცხადებული ნდობა და აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია წარმოადგენდეს ქალაქს, როგორც კონკრეტული რაიონის დელეგატი, მუშაობა განაგრძოს საქართველოს პარლამენტში და ღირსეულად ემსახუროს ქალაქს და ქვეყანას. ვლადიმერ ბოჟაძემ აღნიშნა, რომ გუშინ, დიღომში გაიხსნა ახალი სკვერი, დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მიმართა თბილისელებს, თუ რამდენად აპირებენ 26 ოქტომბერს ხმა მისცენ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც არასდროს არცერთი საქმე არ გაუკეთებიათ ჩვენი ქალაქისთვის. მისი თქმით, დედაქალაქის და ქვეყნის მოსახლეობას 26 ოქტომბერს არ გაუჭირდება ღირსეული არჩევანის გაკეთება - არჩევანი მშვიდობასა და ომს შორის, ბნელ წარსულსა და ნათელ მომავალს შორის. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, საქართველო კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს და გააგრძელებს გზას ევროპისკენ მხოლოდ მშვიდობით, კეთილდღეობით და ღირსებით.

გივი ჩხარტიშვილმა მიულოცა კოლეგებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, წარმატებები უსურვა მათ და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით შევა პარლამენტში. აღნიშნა, რომ გუშინ დიღმის მასივს შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკრეაციული სივრცე, რისთვისაც მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერიას. ისაუბრა დიღუმის რაიონში სამომავლოდ გასახორციელებლ პროექტებზე, მათ შორის, დიღმის მასივში მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობაზე, რომელსაც ამ ეტაპზე უკვე გავლილი აქვს ექსპერტიზა იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება პროექტის განხორციელება.

ანა კაკაბაძემ ირაკლი ხელაძეს, ვლადიმერ ბოჟაძეს და აკაკი ალადაშვილს მიულოცა თბილისის რაიონების დელეგატებად დასახელება, წარმატებები უსურვა მათ და განაცხადა, რომ ისინი არიან ღირსეული წარმომადგენლები, რომლებმაც ზუსტად იციან საკუთარ რაიონებში არსებული პრობლემები და გამოწვევები, რომლებსაც გააჟღერებენ და მოაგვარებენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ისაუბრა ახალი სასწავლო წლის დაწყებაზე, რასაც ბაგა-ბაღების სააგენტო ხვდება ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეებით: იქნება თორმეტი ახალი რეაბილიტირებული ბაღი, სადაც ინფრასტრუქტურა სრულად მოწესრიგებულია; თერთმეტ საბავშვო ბაღში ტარდება სახურავის რეაბილიტაცია; სამ ბაღში ჩატარდება სახურავის მოწესრიგება; ას თხუთმეტ საბავშვო ბაღში ჩატარდება კოსმეტიკური სამუშაოები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მეთოდური ცვლილებებიც, რომლებიც ბავშვებს დაეხმარება განვითარებაში, კიდევ უფრო მეტი განათლების მიღებაში და უფრო საინტერესო პროცესში მონაწილეობაში. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პატარების კეთილდღეობა „ქართული ოცნების“ გუნდისთვის, რომელიც ყოველთვის ხელს შეუწყობს მათ სწორ განვითარებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

#### დღის წესრიგი:

1. „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“;

მომხსენებელი: ჯონი მაჭარაშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის 6 თვის (01.01.2024-01.07.2024) მუშაობის ანგარიში“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

5. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

6. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქ.თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18/20-ში მდებარე, N01.14.02.013.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ.N47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.580) და 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47“-ისთვის (ს/ნ. 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქ.N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.020) შპს „იანისთვის“ (ს/ნ. 405443355) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქ.N11/23-ში მდებარე 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის“ (ს/ნ. 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.111) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელისთვის“ (ს/ნ. 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული №-699-6-28627 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს N24.1382.1563 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ევროპროდუქტს“ (ს/ნ. 202227134) შორის 2020 წლის 26 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-509-18-24971 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და მყვალა ბერიანიძეს (პ/ნ. 01009008844) შორის 2024 წლის 16

მაისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან მაყვალა ბერიანიძის (პ/ნ. 01009008844) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანგია ბოჭორიშვილის ქუჩა, N3ა-ში არსებული მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.015.088, ფართობი - 2084 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

16. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გმირი კურსანტების I შესახვევის N2, N4, N6, N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.254, ფართობი - 3465 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N11 და N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.056.044; N01.17.13.056.045, ფართობი - 4715 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.008, ფართობი - 32010 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.007, ფართობი - 3106 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი მდივანის ქუჩა N20-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.11.006.061) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა; ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის

ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.403, ფართობი - 10617 კვ.მ.; N01.14.01.001.190, ფართობი - 352 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

23. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

24. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

25. „ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.08.010.019; N01.14.08.010.021; N01.14.08.010.041; N01.14.08.010.020; N01.14.08.010.043; N01.14.08.011.048; N01.14.08.011.054; N01.14.08.011.058) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა, N 38ა; N38; N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.58.003.002; N72.16.28.131; N01.72.58.003.001; N72.16.28.126) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.580; N72.16.15.582; N72.16.15.445; N72.16.15.805; N72.16.33.070; N72.16.15.584; N72.16.15.585; N72.16.23.669) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

28. „ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

29. „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.018.133; N01.18.06.018.132)

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

30. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685; N01.72.14.234.010; N01.72.14.009.631; N01.72.14.009.634; N01.72.14.013.910; N01.72.14.234.009) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

31. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.007.399; N01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N46 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

32. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩა N74; N76; N80; N78-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.092; N01.18.06.015.012; N01.18.06.015.029; N01.18.06.015.290; N01.18.06.015.292) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

33. „ქალაქ თბილისში, დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.414; N01.19.16.003.412) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

34. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, ფატმანის ქუჩა N5-ში; ქალაქი თბილისი, სოფ. დილოში, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N4-ში; N6-ში; ქალაქი თბილისი, სოფ. დილოში, „ჩალიპირებში“ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.035.160; N01.72.14.035.162; N01.72.14.035.163; N01.72.14.035.999; N01.72.14.035.944; N01.72.14.035.945; N01.72.14.035.103) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე

35. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N66-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა, N146; N152ბ; N162; N152; N164; N152ე; N66; N152ა; N148; N158; N152გ; N152დ; N160; N156; N66დ; N154; N150-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.060; N01.19.36.013.015; N01.19.36.013.061; N01.19.36.013.056; N01.19.36.013.013; N01.19.36.013.059; N01.19.36.013.011; N01.19.36.013.045; N01.19.36.013.046; N01.19.36.013.006; N01.19.36.013.014; N01.19.36.013.037; N01.19.36.013.058; N01.19.36.013.012; N01.19.36.013.027; N01.19.36.013.053; N01.19.36.013.020; N01.19.36.013.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინძე



36. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N2ა; N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.009.082; N01.19.19.009.018) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N/2.16.17.885; N/2.16.20.171; N/2.16.20.172; N/2.16.17.884; N/2.16.17.878) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თემურ ფიფიას ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ზაზა ლორიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

39. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რომანოზ ხომლეღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის დიმიტრი ქააძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

40. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშიძის ქუჩის მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ლევან ჩოხელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

41. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სვიმეონ შოთაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მშვიდობის ქუჩისთვის, ორი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ანდრო ქუჯოშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

42. „ქალაქ თბილისში, ნამალადევის რაიონში, ვახტანგ მახალდიანის შესახვევისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის გიორგი ვენეცკის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

43. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის II ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის ქეთევან გულაღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

44. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხისთვის და ქობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგვიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

45. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის კახა ტორჩინავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

46. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნუგზარ კალანდაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მოჭიდავის გიორგი ოდიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

47. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთისთვის უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

48. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გორდის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მანანა თოლორდავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

49. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

50. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

51. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

52. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის გიორგი გაგილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

53. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ამაღლების ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო გასასვლელისთვის ამაღლების I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

54. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ ნამორაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

55. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლადო კოტეტიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

56. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

57. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

58. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის კედარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

59. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თეიმურაზ I-ის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

60. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დილომში, მანანა ზედგინიძის ქუჩასთან არსებული ექვსი უსახელო შესახვევისთვის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

61. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, აფხაზეთის ქუჩის II ჩიხის გაგრძელების და აფხაზეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აფხაზეთის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

62. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის დაბაკნეთის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

63. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ დიდებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

64. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნუშის ბაღების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

65. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელისო ჭიპაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯონი მაჭარაშვილმა და განმარტა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან საარჩევნოდ განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, თუ სად არის აკრძალული და სად ნებადართული საარჩევნო-სააგიტაციო მასალის გამოყენება და გაკვრა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია საკრებულოს დადგენილების პროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ზემოთ ხსენებული ლოკაციები და შენობა-ნაგებობები.

ვლადიმერ ბოჭამემ აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები არღვევენ რეგულაციებს, მათ შორის, დედაქალაქში უკვე დაფიქსირდა „ქართული ოცნების“ პლაკატების ჩამოხვევის არაერთი შემთხვევა და მიმართა მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელს, რომ კარგი იქნება, სამსახურმა უფრო მეტად მიაქციოს ყურადღება ასეთ ფაქტებს და უფრო გაახშიროს მონიტორინგი, რათა დაცული იყოს კანონი.

ჯონი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიასთან დადგენილი რეგულაციების აღსრულებასთან დაკავშირებით მუნიციპალური ინსპექცია მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს და კანონდარღვევის რამდენიმე ფაქტი უკვე გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: სამსახურის მიერ ქულამინიჭებულ ოჯახებს გამგეობა დაუკავშირდება რიგითობის მიხედვით და განუმარტავს, რომ მათ აქვთ საცხოვრისის მოძიების შესაძლებლობა, რისთვისაც განსაზღვრავს გონივრულ ვადას და იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ამ ვადაში ვერ მოიძიებს საცხოვრისს, დაკავშირება მოხდება სიაში მყოფ შემდგომ ოჯახთან და იგივე იქნება უკვე არსებულ საცხოვრისებში თავისუფალი ფართის გაჩენის შემთხვევებშიც; წესში ჩნდება ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი გამგეობა შეიძენს ფართს ოჯახის წევრების განსხვავებულ მისამართზე რეგისტრაციის შემთხვევაში; ზუსტდება, რომ თანაბარი რეგისტრაციის დადგენის შემთხვევაში, ფართს შეიძენს ის გამგეობა, რომელსაც იმ მომენტისთვის ნაკლები ფართი აქვს შეძენილი.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ძალიან დროულია, რადგან ამ თემას ძირითადად ემსახურებიან გამგეობები და სტატუსმინიჭებული მოქალაქეების რიგითობა, ხშირ შემთხვევაში, ხელისშემშლელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი მათგანი ან ვერ ეტევა ფართის მოძიებისთვის განსაზღვრულ დროში, ან არ მოსწონთ მოძიებული საცხოვრისი და ამიტომ, საჭიროა მუნიციპალიტეტი გადავიდეს სიაში მყოფ შემდეგ მოქალაქეზე, რომელსაც შესაძლებელია შერჩეულიც კი ჰქონდეს შესაბამისი ფართი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებები გამგეობებს შეუძლებს მუშაობას და შესაბამისად, ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტი გაცილებით უფრო სწრაფი და დიდი

ნაბიჯებით ივლის წინ. აქვე, ზურაბ ჩიკვილაძემ კოლეგებს მიულოცა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა, წარმატებები უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ თითოეული მათგანი საქართველოს პარლამენტის გამორჩეული და ღირსეული დეპუტატი იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ, საჯარო რეესტრის მიერ, მარშალ გელოვანის გამზირზე არსებულ სპეციალურად დაცულ ავტოსადგომს მიენიჭა ნომერი, რაც ასახულია წარმოდგენილ პროექტში და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, პროექტში ასახულია პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ გაცემული გარკვეული რეკომენდაციები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის 6 თვის (01.01.2024-01.07.2024) მუშაობის ანგარიში“ საკითხი სხდომაზე წარადგინა წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის). აქვე, ლევან ჯაფარიძემ კოლეგებს მიულოცა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა, წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და იმედი გამოთქვა, რომ ისინი საკმაოდ გაამდიერებენ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2024 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.012.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 243 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის, რომლებიც 1993-2010 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 136 კვ.მ. ფართის გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქ.თბილისში, პაატა დათუაშვილის ქუჩა N18/20-ში მდებარე, N01.14.02.013.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილების საკითხი, რომლებიც კმაყოფილდებიან ნუცუბიძის ქუჩაზე „აპექსის“ მიერ წარმოებულ მიმდინარე პროექტში, სადაც მუნიციპალიტეტს რამდენიმე ფართი აქვს განსაკარგი. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ფართების პრივატიზება ოთხი პირისთვის, მათ მიერ საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. აქვე აღნიშნა, რომ ერთი პირი ამატებს 12-13 კვ.მ.-ს ღირებულებას, რაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასების თანახმად, შეადგენს დაახლოებით 37000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.580) და 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47“-ისთვის (ს/ნ. 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემა ხორციელდება ტერიტორიის გამწვანების და კეთილმოწყობის მიზნით, რაც განათლების სამინისტროს რეგულაციების თანახმად, საჭიროა სკოლის აკრედიტაციისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქ. N3/5-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.020) შპს „იანისთვის“ (ს/ნ. 405443355) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 5700 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქ. N11/23-ში მდებარე 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.010.010) შპს „ამორატოსთვის“ (ს/ნ. 404659856) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2028 წლის 10 აგვისტომდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1500 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.111) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელსისთვის“ (ს/ნ. 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის უჯრედის და პანდუსის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 3 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4600 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „თელასს“ (ს/ნ: 202052580) შორის 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული №699-6-28627 აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს N24.1382.1563 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ზუსტდება იჯარით გადაცემული 20 კვ.მ.-ს კონფიგურაცია და მდებარეობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

